



10131/3-17/21 2 04102021

10131/3-17/21

04-10-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით დადებული შეთანხმების ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გრანტით, საქართველოში უნდა აშენებულიყო ორი ფსიქიატრიული საავადმყოფო.

რატომ ვერ მიიღო აღნიშნული გრანტი საქართველომ და რა მოთხოვნები ვერ იქნა დაკმაყოფილებული მთავრობის მიერ?

გრძელდება თუ არ მუშაობა ამ პროექტის განსახორციელებლად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030109817026921

საქართველო, თბილისი 0119, აკნერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/16173

20 / ოქტომბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 4 ოქტომბრის N10131/3-17/21 წერილი საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის, საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით დადებული შეთანხმების ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გრანტით საქართველოში ორი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობის სტატუსის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 5 სექტემბერს განხორციელდა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის, საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დანესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების შესახებ“ წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ნოემბრიდან.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, საგრანტო დახმარების ფარგლებში (94.11 მილიონი ჩინური იუანი), უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის ორი ცენტრის მშენებლობას, ერთს თელავში, ხოლო მეორეს - სენაკში. თითოეული კლინიკის სამშენებლო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2230 კვ.მ-ს და მოიცავს ამბულატორიულ განყოფილებას, კრიზისული ინტერვენციის განყოფილებას, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მომსახურების განყოფილებას, სტაციონარულ განყოფილებას 30 საწოლზე, საოფისე და აპარატურის ოთახებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება სათანადო დამხმარე მოწყობილობებითა და აპარატურით.

საგრანტო დახმარების ფარგლებით განსაზღვრული სამუშაოების დაფინანსება გათვალისწინებულია 2016 წლის 3 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი „ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების“ თანახმად გამოყოფილი გრანტის ფარგლებში.

2019 წლის 3-27 ივნისის პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურბანული მშენებლობისა და დიზაინის ინსტიტუტის დელეგაცია. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის განხორციელების შეთანხმებაში ასახული ვალდებულებები განეკუთვნება სხვადასხვა სამინისტროსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების კომპეტენციას, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 მარტის № 446 განკარგულების თანახმად, „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 დეკემბერს და 2016 წლის 3 ივნისს გაფორმებული ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში 90 მილიონი ჟენმინბი იუანის ოდენობის უსასყიდლო დახმარების მიმღები ორგანოს განსაზღვრის და გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის № 1551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, შეიქმნა უწყებათაშორისო საკოორდინაციო ჯგუფი.

საკორდინაციო ჯგუფის 2020 წლის 19 აგვისტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების მხარდაჭერის პროექტის განხორციელების თაობაზე“ შეთანხმების პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 თებერვლის #01-50/ო ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის ფორმატში მიმდინარეობს ჩინურ მხარესთან თანამშრომლობა პროექტის დეტალების შეთანხმების საკითხებზე.

2020-2021 წლებში, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, ისევე ჩინეთის მხარესთან არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული საკითხების დაზუსტებისა და შეთანხმების მიზნით.


მიმდინარე წლის 25 ივნისს, სამინისტრომ წერილით მიმართა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, პროექტის რეალიზაციის შენელებული პროცესის გააქტიურების თაობაზე.

პროექტის განხორციელების შეთანხმება ეფუძნება 2018 წლის 1 ნოემბერს ჩინეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებულ ნოტების გაცვლის გზით შეთანხმებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა 2018 წლის 5 სექტემბერს. მხარეთა შორის გასაფორმებელი პროექტის განხორციელების შეთანხმებაში წარმოდგენილია საქართველოს მხარის მიერ, რატიფიცირებული დოკუმენტის მიღმა შესასრულებელი სხვა დამატებითი ვალდებულებები, მათ შორის საგადასახადო ნაწილში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, ვინაიდან ნოტების გაცვლის გზით შეთანხმება ითვალისწინებს მხოლოდ საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას, ხოლო პროექტის განხორციელების შეთანხმებით მოთხოვნილია სხვა გადასახადებისგან გათავისუფლების პირობები, სამინისტროს რეკომენდაციით, დაიწყო „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების მხარდაჭერის პროექტის განხორციელების თაობაზე“ შეთანხმების პროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების პროცესი. დოკუმენტი, სამინისტროს მიერ გადაიგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რატიფიცირებისთვის საჭირო შიდა პროცედურების განხორციელების მიზნით.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე